ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N2018-52

ქ. თბილისი **11 ივნისი 2018 წელი**

ერთის მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), **ს/კოდი: 218065055,** წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის **ოთარ ცოტნიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე გიორგი ქუთელია** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), **ს/კოდი: 29001007593,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - ერედვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების (Renault Duster სახ.ნომრით LG601GL და Honda CR-V სახ.ნომრით GH895HG) ავტო სალონის ქიმწმენდის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: **CPV - 50112300** - მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება ლარებში;
3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **220 (ორასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.**
3.3. Renault Duster-ის (სახ.ნომრით LG601GL) ავტო სალონის ქიმწმენდის ღირებულება შეადგენს - 100 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხოლო Honda CR-V-ს (სახ.ნომრით GH895HG) კი - 120 (ასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს;
3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი მომსახურების გაწევა.
4.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სანიტარულ ნორმებს;
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი მომსახურების დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოუქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება **2018 წლის 11 ივლისის ჩათვლით,** შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის ქუჩა N12.
5.2. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.
6.1.3 მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.
6.4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.
6.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2 ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს - **ერედვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გოჩა ვაზაგაშვილი.**
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - მომსახურების შესრულების პროცესში.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ერედვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გოჩა ვაზაგაშვილი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ს.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან ან დარღვევათა გამოწსორებისაგან.
10.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით.

11.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

16.1. ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 11 ივნისიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართი, რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ერედვის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
ს/კოდი 218065055
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE85KS0000000330300001
ბ/კოდი: AGREGE22
Tel: 595 33 94 00

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე გიორგი ქუთელია
მის: ქ.თბილისი, გლდანი, ქერჩის ქ N12
ს/კოდი 29001007593
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ა/ა GE10LB0112134871913000
ბ/კოდი LBRTGE22
Tel: 579 57 52 57

18. მხარეთა ხელმოწერები

ოთარ ცოტნიაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ქუთელია
ინდივიდუალური მეწარმე

ხელწერილი (ხელშეკრულება N2018-52 11.06.2018 წელი)

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **11 ივნისი 2018 წელი**

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა 2018 წლის 11 ივნისს გაფორმებულ N2018-52 ხელშეკრულებით გათვალისწინებული - ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ ავტომანქანების (Renault Duster სახ.ნომრით LG601GL და Honda CR-V სახ.ნომრით GH895HG) ავტო სალონის ქიმწმენდის მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი: **CPV - 50112300** - მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

_____ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური

განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსი:

_____ გოჩა ვაზაგაშვილი